პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
13 ნოემბერი
№ 261 (18203)
ფასი 2 კაპ.

დავძლიოთ ჩამორჩენა კაპიტალურ მშენებლობაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ მეთერთმეტე ხუთწლედში კაპიტალური მშენებლობის ვრცელი პროგრამა დასახა. იგი ითვალისწინებს მშენებლობის ეფექტიანობის ზრდას, ახალი ხანარმოო სიმძლავრეების სწრაფად ამოქმედებას და არსებულ საწარმოო რეკონსტრუქციას.

პარტიამ მოქმედების კონკრეტული გზებიც გვიჩვენა. კერძოდ, როგორც დირექტივებშია ნათქვამი, კაპიტალურ დაბანდებებსა და მატერიალურ რესურსებს უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე უნდა მოვუყაროთ თავი. ამასთან საჭიროა შევზღუდოთ ერთიანეროულად ახალგები ობიექტების რაოდენობა, შევამციროთ მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოთ ობიექტების რიტმული ამოქმედება, ნორმატიულამდე შევამციროთ დაუმთავრებელი მშენებლობა, გავაუმჯობესოთ სამშენებლო წარმოების დაგეგმვა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმე და ორგანიზაცია, ყოველმხრივ განვამტკიცოთ კაპიტალური მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლების ასეთმა კონკრეტულმა მიმართულებამ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის მოთხოვნებმა რესპუბლიკის მშენებლები ახალი პასუხსაგები პროგრამის წინაშე დააყენა. იგი განპირობებულია მეთერთმეტე ხუთწლედში მშენებლობის მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდითაც. ცხადია, ეს სერიოზული საქმე დაღებთად რომ გადაწყდეს, საჭირო მაქსიმალურად დავრაზმოთ მშენებლთა ძალები, რათა ხუთწლედის სასტარტო წელი დამაჯერებელ გამარჯვებათა ფინიშით დავაგვირგვინოთ.

მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის შედეგებით ვ ვიმსჯელებთ, რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად არსებითი ნაკლოვანებებიც გვაქვს. ამ პერიოდში ამოქმედდა 569 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, რაც 4 პროცენტით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხორციელდებოდა საწარმოთა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და გაფართოება. გაიზარდა ნავთობის მოპოვების, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები. მარტო სექტემბერში ექსპლუატაციაში გადაეცა 28,5 კილომეტრი ხიდრძის ელექტროგადამცემი ხაზები, 185 ათასი კილოვოლტამპერი სიმძლავრის ატრანსფორმატორო ადგილები ქვესადგურებში და სხვა. ამოქმედდა ნავთობის ბურღილები, ტუხოვის მეტალურგიული ქარხნის ბრძმედი და ფანტადის დანადგარი, ახალწყობა რკინაბეტონის კონსტრუქციების საწარმოო სიმძლავრეები ბუდოგას რკინაბეტონის ქარხანაში, ტრიკოტაჟის ფაბრიკა ცხინვალში, ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ხელოს ფილიალი, ჩაის ფაბრიკები ზუგდიდში, წალენჯიხაში, წულუკიძეში და სხვ.

სოფლის მეურნეობაში ამოქმედდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომები, სარძიო მეცხოველეობის კომპლექსები, საკვერცხე მამრთულების მეფრინველეობის ფაბრიკები, მეცხოველეობის საკვები ნაამქრობი და სხვა. გრძელდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურისა და ენგურის ჰიდროკვანძის მშენებლობა, რუსთავის ქიმიური, თბილისის ელმავალსაშენებელი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების გაფართოება-რეკონსტრუქცია. ექსპლუატაციაში გადაეცა 625 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აშენდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელთა დაწესებულებები და ა. შ.

რესპუბლიკაში 9 თვის საიჯარო სამუშაოების პროგრამა საკუთარი ძალებით შესრულდა. ძირითად სამშენებლო სამინისტროებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის ჩამორჩენა აქვს მხოლოდ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, რომელმაც საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულებას მხოლოდ ერთი პროცენტი დაკლო.

მაგრამ მთავარი ნაკლი ეს როდია. განვლილ პერიოდში კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ დაჭაქუნული იყო სახსრები და ძალები, მათ თავს არ უყრიან სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან, ასამოქმედებელ ობიექტებზე. მთელ რიგ მშენებლობებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ტემპი, სამწუხაროდ, საკმარისი არ აღმოჩნდა, რომ სიმძლავრეები და ობიექტები დადგენილ ვადებში გადაცემულიყო ექსპლუატაციაში. ამიტომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების კოლექტივების მთავარი ძალები ისე უნდა წარმართონ, რომ მიმდინარე წლის გეგმაში შეტანილი ასამოქმედებელი ობიექტების სამუშაოთა პროგრამა მთლიანად შესრულდეს.

ამ მხრივ გასაკეთებელი ბევრი დაგვრჩა, მით უმეტეს, რომ განვლილ სამ კვარტალში ექსპლუატაციაში უნდა გადაცემულიყო მნიშვნელოვანი ობიექტების ნიაში შეტანილი 26 სიმძლავრე, ფაქტობრივად კი ათი ამოქმედდა. მოქმედი ობიექტების წყობაში ვერ ჩადგა ხუჯუნის მეცხოველეობის კომპლექსი, პირველადი ღვინის ქარხანა მუკუზანში, ხვარის მებოცვრეობის ფერმა, გამწმენდი ნაგებობანი სოხუმში, ბუდაფუთაში და სხვაგან. შეიმჩნევა კაპიტალური დაბანდების არადამაკმაყოფილებელი ათვისებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაგვალებათა ჩაშლის ტენდენციები ისეთ ობიექტებზე, როგორიც არის წყალტუბოს სანატორიუმი (შემკვეთი — სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოიჯარე ორგანიზაცია — სახელმწიფო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტი), დედოფლის მებოცვრეობის კომპლექსი (დამკვეთი — სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მშენებელი — ტრესტი № 3 სახელმწიფო მშენებლობის სამინისტრო), ახალი ციმბირის ქარხნის რეკონსტრუქცია (შემკვეთი — საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, მოიჯარე ორგანიზაცია — მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტი) და სხვ.

ცნობილია, რომ გეგმას კანონის ძალა აქვს. მაგრამ, აუცილებელია მისი შესრულება. დაგეგმილი სამრეწველო ობიექტი უცილობლად დროულად უნდა ამოქმედდეს — ასეთია პარტიის მოწოდება მშენებლებისადმი. დიახ, ეს ასეა, და ამიტომ მშენებლებმა იგი თავიანთი საქმიანობის მთავარ ორიენტირად უნდა გაიხადონ. ამიტომ კაპიტალური მშენებლობის 1981 წლის დაძაბული გეგმის შესრულება მოითხოვს სამშენებლო კომპლექსის ყოველ რგოლში მაღალ ორგანიზებულობასა და დისციპლინას. ამაზე უურადღებას დღეს იმიტომ ვამახვილებთ, რომ იანვარ-ოქტომბერში ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა მხოლოდ 89 პროცენტით შესრულდა, კაპიტალური დაბანდება და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ათვისებულია შესაბამისად 91 და 92 პროცენტით, ხოლო სახალხონლო სამშენებლო პროდუქციის დავალება წლიური გეგმის მხოლოდ 80 პროცენტით არის შესრულებული. მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ათი თვის შედეგების მიხედვით განსაკუთრებით მოიკოჭლებს საავადმყოფოებისა და სკოლამდელთა დაწესებულებების ექსპლუატაციოდ გადაცემის საქმე.

კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის ამაღლება დიდად არის დამოკიდებული დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებაზე. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში დაუმთავრებელი მშენებლობა 392 მილიონი მანეთით, ანუ 19 პუნქტით გაიზარდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ წლის დასაწყისისათვის საწარმოო დანიშნულების მშენებლობის ობიექტების რაოდენობა გაიზარდა.

მშენებლობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რატომული მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციას. რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა ამ საკითხზე არაერთხელ გაამახვილეს მშენებელთა უურადღება, მაგრამ სამწუხაროდ მდგომარეობა მაინც არ უმჯობესდება. წლიდან წლამდე იეგეგმება არარიტმული მუშაობა. წლეულს ეს მანკიერი ტენდენცია მეოთხე კვარტალში კიდევ უფრო გაღრმავდა. დაგეგმა წლის განმავლობაში ასამოქმედებელი ძირითადი ფონდების 48,5 პროცენტი, სამინაო მშენებლობის 42 პროცენტი და ა. შ. მოხდა ისე, რომ თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ობიექტის, საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედება გაითვალისწინეს მეოთხე კვარტალში. სწორედ ეს აუარესებს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და აქვეითებს სამშენებლო პროდუქციის ხარისხს.

მიმდინარე წლიდან სამშენებლო ორგანიზაციებში ინერგება დაგეგმვის ახალი სისტემა. პირველ რიგში ეს ეხება სახალხონლო სამშენებლო პროდუქციის მაჩვენებელს. ამ მხრივ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. ჯერ ერთი, სახალხონლო სამშენებლო პროდუქცია დაიგეგმა ხარვეზებით, არარიტმულად, სიმძიმის ცენტრი მთლიანად გადატანილია მეოთხე კვარტალზე. და მეორე, ამ ვითარებაშიც კი რესპუბლიკაში არც ერთ კვარტალში არ შესრულებულა სახალხონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმა. ოქტომბრის დამდეგისათვის ფაქტობრივად შესრულებული იყო 1981 წლისათვის დაგეგმილი სახალხონლო სამშენებლო პროდუქციის მხოლოდ 28 პროცენტი, ხოლო იანვარ-სექტემბრისა — 64 პროცენტი. სახალხონლო სამშენებლო პროდუქციის გეგმის შესრულებაში მშენებლობის სამინისტროს სისტემაში ჩამორჩებიან №№ 2, 4, 6, 11 ტრესტები, გორის, სოხუმის, ბზიფის და თბილისის პირველი სახლთსაშენებელი კომბინატები. კუს ნახიჯით მიჩანჩალებს „სპეცმშენის“ ტრესტის კოლექტივი, რომელმაც ახალი მაჩვენებლების მიხედვით სამი კვარტლის დავალება 8 პროცენტით შეასრულა. ამ ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩენა აქვს სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ტრესტების უმრავლესობას.

პარტია გვასწავლის, რომ სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ქართველ მშენებლებს აქაც თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა აქვთ სათქმელი. მეთერთმეტე ხუთწლედში კავშირის მასშტაბით კაპიტალურ მშენებლობაში თუ გათვალისწინებულია შრომის ნაყოფიერების ზრდა 15-17 პროცენტით, ჩვენს რესპუბლიკაში ეს მაჩვენებელი 30-32 პროცენტის მატებით არის დაგეგმილი. არსებული რეზერვების გამოყენებით ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. ჯერჯერობით შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულება რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში არადამაკმაყოფილებელია. იანვარ-სექტემბერში მან შეადგინა 99,8 პროცენტი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. დაბალია მისი ზრდის ტემპიც.

მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდა აგრეთვე დიდად არის დამოკიდებული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებაზე, სამშენებლო წარმოების სწორ ორგანიზაციაზე. დღეისათვის მშენებლობებზე მუშახელის დიდი დენადობაა.

ამ საკითხს განსაკუთრებული უურადღება უნდა დაუთმონ შესაბამის სამინისტროთა ხელმძღვანელებმა და პრაქტიკული ღონისძიებებიც განახორციელონ.

ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაზე უარყოფითს გავლენას ახდენს ის გარემოებაც, რომ შემკვეთები არლვევენ დადგენილ წესებს და სახელშეკრულებო ვალდებულებებს თავისუფალი ტერიტორიით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, დაფინანსებითა და მოწყობილობით სამშენებლო ორგანიზაციების დროულად უზრუნველყოფის შესახებ.

პარტიის ლოზუნგი „ვაშენოთ სწრაფად, იაფად, ხარისხიანად!“ კვლავ აქტუალურია. სამწუხაროდ, ზოგან ნაწილობრივ გაუარესდა მშენებლობის ხარისხის მაჩვენებელი. თუ შარშან რესპუბლიკაში ობიექტების 75 პროცენტი ექსპლუატაციოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით გადაეცა, წლეულს პირველ ნახევარში მან მხოლოდ 67,7 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ განსაკუთრებით დათმეს პოზიციები სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციებმა.

დამთავრდა ნოემბრის პირველი დეკადაც. ამიტომ წლის ბოლომდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა დავძლიოთ ჩამორჩენა კაპიტალურ მშენებლობაში. ამასთან მშენებლობის დაგეგმვაში, ორგანიზაციასა და წარმოებაში დაშვებული შეცდომები უნდა ამოვფხვრათ შემდგომი წლების მუშაობაში. ამით კარგ საფუძველს შეექმნით მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესახრულებლად.

შრომის ვახტზე

ტყიბული

ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები თავდადებით იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. პროდუქციის ზრდის ტემპმა მიმდინარე წლის სამ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 104,6 პროცენტი შეადგინა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ალმოსავლეთი-2 შახტის, ტუბულისა და ორპირის ჩაის ფაბრიკების, ბრეხილის ღვინის ქარხნისა და ხორცკომბინატის კოლექტივები. წარმოების ზრდის ხაუალო ტემპს გაუსწრო ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც ვადაზე 4 დღით ადრე უპატაჟა სამშობლოს ქვანახშირის ამოღების ათი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულება. (საკ. კორ.).

ცხინვალი

სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის ათი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. 12.925 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 13.214 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზებულია 13.112 ათასი მანეთის ნაწარმი.

სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანმა პროდუქციამ წარმოების საერთო მოცულობაში 25 პროცენტი შეადგინა, რაც დაგეგმილს მნიშვნელოვნად აღემატება. შრომითი მაჩვენებლებით დაწინაურდნენ № 1 და № 4 საამქროების კოლექტივები. ეს უბნები ნათელა კუტავაძისა და ციალა შეველიძის ხელმძღვანელობით უკვე დეკემბრის ანგარიშში შრომობენ.

წლის დამდეგიდან აღებული შრომის სწრაფი ტემპი გრძელდება. მეთერთმეტე ხუთწლედის დასაწყისი ამ მხრივ ბრწყინვალეა. ამ ოთხ თვეში ფაბრიკამ 60 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვია 63.925 ათასი მანეთის ნაწარმი. ეს ნიშნავს, რომ ფაბრიკა ამ ოთხ თვეში 3.925 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვებს 5.000 ათასი მანეთის ნაწარმს.

ბ. დვალიშვილის ფოტო

„ოქროს“ რთველი

ციტრუსის ალოობა დაიწყო მახარაძის რაიონის მეურნეობებში. პლანტაციებში ერთ-ერთი პირველი გავიდა სოფელ კონჭკათის კოლმეურნეობის მკრეფავთა ბრიგადა ს. ტუღუშის მეთაურობით.

„ოქროს“ ალოობა დაიწყო მახარაძის — რესპუბლიკაში ერთ-ერთი წამყვანი სუბტროპიკული რაიონის სხვა მეურნეობებშიც. მარტო ამ სეზონში რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მისცენ სამშობლოს 30 ათასი ტონა ციტრუსი.

ეს იქროლებენ ცისფერი ეშელონები

„თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივი დამკვრელურად შრომობს მეტროპოლიტენის გლდანის ხაზის მშენებლობაზე. მეთერთმეტე ხუთწლედში მეტროვაგზლების „ღრმაღელის“, „თემქის“, „ავჭალის გზატკეცილისა“ და „გლდანის“ ოთხი ახალი კომპლექსი მიიღებს მგზავრებს.

მეტროპოლიტენს თბილისელები შეეჩვევნენ. უმეტროპოლიტენოდ ჩვენი ქალაქის წარმოდგენა დღეს ძნელია, მაგრამ უფრო ძნელია წარმოვიდგინოთ, რა ხირთულის დაძლევა მოუხდათ მისი პირველი რიგის მშენებლებს. კლდე-ღრეხთან და მიწისქვეშა „მდინარეებთან“ ჭიდილში ისინი შრომითს ხასწაულებს ახდენდნენ. მეტრომშენებლებს ახლაც უამრავი დაბრკოლების გადალახვა უხდებათ.

მეტროს მშენებარე ხაზის პირველ სადგურს მშენებელთა „ენაზე“ №32 შახტი, ხოლო ჩვენებურად სადგური „ღრმაღელე“ ჰქვია. ამ უბნის კოლექტივმა 60 გრძივი მეტრი სადგურის თაღი უნდა ააშენოს. ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ყველა წარმატების საწინდარი გახდა. მშენებლებმა გადაწყვიტეს, ეს პასუხსაგები ობიექტი ვადამდე, დიდი ოქტომბრის რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის ჩაეყენებინათ მწყობრში და არ გატეხეს სიტყვა. წელსვე დამთავრდება საექსკავატორო გვირაბის გაყვანა და შეუდგებიან სადგურის ზედა ვესტიბიულის მშენებლობას.

□ □

სურათებზე: ერთ-ერთი საუკეთესო გვირაბგამყვანი ი. ხეწანაშვილი; შენდება ღრმაღელის სადგურის საექსკავატორო გვირაბი. 2. მეტროპოლიტენის მოწინავე მშენებლები ო. კიკნაძე, თ. მაჭარაშვილი, თ. კაჩმაზოვი, ა. თევდორაშვილი, გ. გაგნიძე, ო. გვანცელაძე და გ. კეკელიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის გაწეული რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1981 წლის 9 თვის შედეგების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის შეჯიბრების გამარჯვებულად 1981 წლის ცხრა თვის შედეგების მიხედვით ცნეს:

I ზონა

გარდაბნის რაიონი — პირველი ადგილი
გურჯაანის რაიონი — მეორე ადგილი
თელავის რაიონი — მესამე ადგილი

II ზონა

მცხეთის რაიონი — პირველი ადგილი
ლენინგორის რაიონი — მეორე ადგილი
კასპის რაიონი — მესამე ადგილი

III ზონა

ყაზბეგის რაიონი — პირველი ადგილი
ბორჯომის რაიონი — მეორე ადგილი
ახალციხის რაიონი — მესამე ადგილი

IV ზონა

ხულოს რაიონი — პირველი ადგილი
შუახევის რაიონი — მეორე ადგილი
ლენტეხის რაიონი — მესამე ადგილი

V ზონა

ვანის რაიონი — პირველი ადგილი
ზესტაფონის რაიონი — მეორე ადგილი
მაიაკოვსკის რაიონი — მესამე ადგილი

VI ზონა

ცხაკაიას რაიონი — პირველი ადგილი
ჩხოროწყუს რაიონი — მეორე ადგილი
სამტრედიის რაიონი — მესამე ადგილი

VII ზონა

გულრიფშის რაიონი — პირველი ადგილი
ოჩამჩირის რაიონი — მეორე ადგილი
ქობულეთის რაიონი — მესამე ადგილი

აღინიშნა შემდეგი რაიონების პარტიული, სახელმწიფო-სამეურნეო ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა:

— დუშეთისა და ამბროლაურის, რომლებმაც ვერ შეასრულეს ხორცისა და რძის დამზადების გეგმა;

—წალკის, ონისა და ლანჩხუთის, რომლებმაც ვერ შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმა;

— ჭარელის, გორის, ახალქალაქის, თიანეთისა და ხობის, რომლებმაც ვერ შეასრულეს რძის დამზადების გეგმა;

— ცხინვალის, ონის, ლანჩხუთის, ქალაქ წყალტუბოს ზონის, რომლებმაც ვერ შეასრულეს კვერცხის დამზადების გეგმა. (საქინფორმი).

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

● 14-15 ნოემბერს მეცხოველეობის ფერმების დათვალიერება.

● დათვალიერების დროს საზოგადოებრივობამ ერთად დიდი უურადღება მიეაქციოთ საკარმიდამო მეცხოველეობას, ამ-ველმხრივ დამეხმარითო მას.

● გამარჯვებული საკარმიდამოს პატრონს — ავგუსტინა ანანიას „ნივა“.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მეცხოველეობის ფერმების მზადყოფნისა და საკარმიდამო მეცხოველეობის მდგომარეობის რესპუბლიკური დათვალიერების გამო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 14-15 ნოემბერს გაიმართება 1981-1982 წლების პირუტყვის გამოზამთრებისათვის ფერმების მზადყოფნის რესპუბლიკური დათვალიერება.

ამ ღონისძიების მიზანი ის არის, რომ ყოველნაირად შევუწყოთ ხელი დარგის განვითარებას,

საზოგადოებრივ მეურნეობებთან ერთად დათვალიერებაში ფართო მონაწილეობას მიიღებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით დასაქმებული მოსახლეობის პირადი საკარმიდამო მეურნეობებიც.

საზოგადოებრივი მეურნეობა ჩვენი ეკონომიკის საფუძველია და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდების საკითხი უმთავრესად აქ წყდება. მაგრამ დღეს, როცა სულ უფრო მეტი გვჭირდება ხორცი, რძე, კვების სხვა პროდუქტები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები უნდა დაეხმარონ საკარმიდამო მეურნეობებს, სოფლის მოსახლეობას, ყველას ვისაც შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემის გადაწყვეტაში — სასურსათო პროგრამის შესრულებაში.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ მოსახლეობის პირადი საკარმიდამო მეურნეობები, ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე მათთან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოების, მეფრინველეობის ფაბრიკების კოოპერირება მეცხოველეობის პროდუქციის ზრდის დამატებითი რესურსების უმნიშვნელოვანესი წყაროა. იქ, სადაც პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანოები საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისათვის, მისი ინტენსიფიკაციისათვის ზრუნვასთან ერთად კოლმეურნეებს, მუშებსა და სპეციალისტებს დამზმარე მეურნეობის გაძღოლის პირობებს უქმნიან, იქ წარმატებანიც არ აყოვნებენ.

რესპუბლიკაში შეძენილია მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების დადებითი გამოცდილება. მთელი რიგი რაიონები, მეურნეობები პირად საკარმიდამო ნაკვეთებზე უკვე იღებენ დამატებით ხორცს, რძეს, სხვა პროდუქციას, ხოლო კოოპერირებაში ჩაბმული მოსახლეობა — თავისი შრომის ფულად და ნატურალურ ანაზღაურებას. ამას სოლიდური მატება შეაქვს მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების, მთლიანი პროდუქციის ზრდაში, სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

დათვალიერების კომისიებს დავალათ შედეგების შეჯამების დროს განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ საზოგადოებრივ მეურნეობათა მონაწილეობას საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაში. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისეთი ფაქტორები, როგორიც არის საკარმიდამო მეურნეობათა უზრუნველყოფა უხეში და კონცენტრირებული საკვებით, მოზარდეულთა სანენე მასალებით, დახმარება ზოოტექნიკურ და საკვერცხინარო მომსახურებაში.

რაიონებისათვის, მეურნეობებისათვის, რომლებიც ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებიან პირუტყვის გამოზამთრებას და გარდა ამისა თავს გამოიჩენენ საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარებაში, დაწესებულია სპეციალური სიგელები, გამოყოფილია მსუბუქი ავტომობილები „ნივა“. სოფლის შრომელები, რომლებიც დამკვრელურად მუშაობენ როგორც წარმოებაში, ისე პირად დამხმარე მეურნეობაში, დაჯილდოვდებიან დასახელებული სახლების უფასო საგზურებით და ფასიანი საჩუქრებით.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკთა, ყველა სოფლის შრომელის სამატიო ვალია ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ პირუტყვის გამოზამთრებას, სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი ფერმების პროდუქცია. (საქინფორმი).

მუშათა კლასის შესახებ

გამოვიდა კრებული „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუშათა კლასის შესახებ“.

წიგნში შეიკრა ვ. ი. ლენინის შრომები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები, რომლებშიც დახასიათებულია მუშათა კლასის როლი სოციალისტური ოქტომბრის შემდეგ, ამ ეპოქის ძირითადი ტენდენციები, ეროვნული საკითხის ბოლშევიკური გადაწყვეტა ზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობაში, კრებულის მასალები აშუქებს, თუ როდის მეცნიერულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობა საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მუშათა კლასისადმი ხელმძღვანელობისათვის.

კრებული გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ. (საკდესი).

„ნიზვესტიის“ რედაქციაში

საქართველოს დედაქალაქის, ყველაზე ახალგაზრდა რაიონში — გლდანში 11 ნოემბერს პირველად აანთო რამპა ახალმა დრამატულმა თეატრმა, რომელმაც თავისი ბიოგრაფია დაიწყო ვ. ვიშნევსკის პიესით „ოპტიმისტური ტრაგედია“.

სპექტაკლს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი.

დროთა ცოცხალი კავშირის, თაობათა განუწყვეტელი მონაცვლეობის, დიდი კოტე მარჯანიშვილის მარად ცოცხალი რევოლუციური ტრადიციების ერთგულების შთამბეჭდავ დადასტურებად იქცა „ოპტიმისტური ტრაგედია“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის, თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. პაქსაშვილის ინტერპრეტაციით.

მაყურებელმა ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვა როლების შემსრულებლები შ. ხაჟალია, დ. დვალიშვილი, ვ. პაქსაშვილი, ნ. უურაშვილი, ა. ალავიძე, ნ. ხიდურელი, ა. ტაკიძე, სპექტაკლის ყველა მონაწილე.

თეატრს გულთბილად მიეულოცეს დაბადება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ო. თაქთაქიშვილმა და საოციალისტური შრომის გმირმა, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირმა გ. კურტანიძემ.

თეატრის დასის მადლობა გადაიხადა ლ. პაქსაშვილმა.

● ●

პირველი სპექტაკლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე. მან გულითადად მიეულოცა თეატრის კოლექტივს დაბადების დღე და დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა მას. საუბრის დროს დაისახა ახალი თეატრალური კოლექტივის ამოცანები, განხილულ იქნა სარეპერტუარო პოლიტიკის საკითხები. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ კონსტიტუცია გამოიცა მოსკოვში



„იზვესტიის“ გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) ტექსტი, რომელიც 1978 წლის 15 აპრილს მიიღო საქართველოს მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე რიგგარეშე სესიამ.

ეს გაზეთის ნახევარი გვერდისოდენა უჩვეულო გამოცემაა. ყდაზე ამოტვიფრულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი. წითელ ფონზე ოქროსფერი ნატვიფრია „საქართველოს სსრ, კონსტიტუცია“.

წიგნი მდიდრულად არის ილუსტრირებული: ყოველ თავს წინ უძღვის მისი შინაარსის ამსახველი ნახატი.

კონსტიტუციის ტექსტი დაიბეჭდა „იზვესტიის“ შრომის წითელ დროშის ორდენოსან სტამბაში.

(საკდესი).

სამშობლოს გრძნობა

ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებების“ გამო

ლ. ი. ბრეჟნევის „მცირე მიწა“, „აღორძინება“, „ყამირი“ და ახლახან „ნოვი მირში“ გამოქვეყნებული „მოგონებები“ („ცხოვრება ქარხნის საყვირით“, „სამშობლოს გრძნობა“) შეადგენს ერთიან ავტობიოგრაფიულ მოთხრობას, სადაც ინდივიდუალური ბედით ყოველმხრივ ვლინდება ხალხის ბედი. და თუ გამოვყოფთ ამ წიგნების მთავარ თემას, ეს იქნება ხალხურობისა და პარტიულობის, ქვეყნის, პარტიის, იმ საქმის ერთგულების თემა, რომელსაც ემსახურები.

რა შინაგანი სიამაყით, ღირსების გრძნობით და ხალხის რწმენით არის აღსავსე ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებების“ სტრიქონები მისი „გვარტომობის“ შესახებ, სადაც იგი გვიამბობს პაპამისზე, ძველ მუშა დენის მაზალოვზე, „ჯუს, სიტყვაძუნწ, ნამდვილ რუს მუშაზე“, მამაზე, ილია იაკობის ძე ბრეჟნევზე, რომელიც დნეპრის ქარხანაში კურსკის გუბერნიიდან მოსულა. „მოგონებების“ ავტორი ასკვნის: „ეროვნებით რუსი ვარ, წარმოშობით — ძირფესვიანად პროლეტარი, შთამომავლობით — მეტალურგი. ეს არის და ეს, რაც ვიცი ჩემი გვარტომობის შესახებ“. მაგრამ ეს „გვარტომობა“ ტიპური და მნიშვნელოვანია. ასეთი იყო „რუსეთის მუშათა კლასის გვარტომობა“, რომლისთვისაც ქვეყნის სამხრეთში, ეკატერინოსლავის გუბერნიაში (ამჟამად დნეპროპეტროვსკის ოლქი) განლაგებული ლ. ი. ბრეჟნევის მშობლიური დნეპრის ქარხანა თავის არცთუ მცირე როლს ასრულებდა.

„მოგონებებში“ თავისი ცხოვრებისეული მასალითა და ზნეობრივი პათოსით თითქოსდა წინ უძღვის უფრო ადრე გამოქვეყნებულ „მცირე მიწას“, „აღორძინებასა“ და „ყამირს“, გვიჩვენებს კომუნისტის ჭეშმარიტად ხალხური ხასიათის სიღრმისეულ ფესვებს, რომელიც ესოდენ ფართოდ და სრულად გამოვლინდა შემდეგ

„და აი, კიდევ რა მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, — წერს ავტორი, — ჩვენი ქალაქი მუშათა ქალაქი იყო, მოსახლეობას უპირატესად მუშები შეადგენდნენ და ამიტომ პროლეტარული რევოლუცია ჩვენთან ყოველთვის მიიჩნდათ თავისად, ბოლშევიკთა პარტია — თავისად, საბჭოების ხელისუფლება — თავისად! სხვაგვარად რომ ვთქვათ, არჩევნების პრობლემა, თვით საკითხი, ვის გაჰყოლოდნენ, ვის მხარეზე დამდგარიყვნენ, დნეპრელ მუშათა წინაშე არ წამოჭრილა“.

ერთიანობის, მთლიანობის საოცარი გრძნობით არის გამსჭვალული ეს წიგნი! სახალხო აქ ორგანულად გადაიზრდება რევოლუციურში, პარტიულში. იმ სულიერი, ზნეობრივი სიჯანსაღის პირველწყარო, რომელიც იღვრება „მოგონებების“ ფურცლებიდან, უფრო ზუსტად კი — ამ წიგნში აღწერილი ცხოვრების წიაღიდან, — ხალხია. სინდისი, სიმართლე, სიკეთე, სამართლიანობა, შინაგანი სილამაზე, რომლებიც ჩვენ მაგმებმა, პაპებმა, პაპის პაპებმა გვიანდერძეს, რომლებიც დამკვიდრდა ტანჯვით აღსავსე შრომითა და ბრძოლით, სწორედ ეს არის ჩვენი წმიდათაწმიდა, მარად ცოცხალი, დღეკვანდელი ცხოვრებისათვის სავალდებულო მორალური ღირებულებანი. და თუ ჩვენ ამჟამად ასე მიზანსწრაფულად ვიცავთ გარემო ბუნებასა და ისტორიის ძეგლებს, მაშ რა დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ადამიანს და მის ზნეობრივ ღირებულებებს. ისევე, როგორც ოდესღაც ჭეშმარიტად ადამიანური ღირებულებანი უპირისპირდებოდა ანგარებას, მონობას, ფუნტლისა და კერძომესაკუთრეობის სამყაროს უსულგულობას,—ასევე დღესაც, ახალ, სოციალისტურ პირობებში, ეს თვისებები უდიდესი, სულ უფრო მზარდი მორალური ძალაა, რომელიც ჩვენს საზოგადოებას იცავს წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური კოროზიისაგან, გვიხმარება ყოველივე უწმინდურის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საკუთარი ოჯახის მაგალითზე ლ. ი. ბრეჟნევი გვიხატავს იმ ნამდვილად ადამიანური ურთიერთობის წმინდა, შეიძლება ითქვას, ალალმართალ ატმოსფეროს, რომელიც დასაბამს იღებს ხალხის ცხოვრების წიაღიდან და ერთნაირად ახასიათებს როგორც ქალაქის, ისე სოფლის საუკეთესო გამრჯე ადამიანებს. ჭეშმარიტი ცხოვრებისა და ისტორიის სრული შესაბამისობით ავტორი ამკვიდრებს ამ — ქალაქისა და სოფლის — ადამიანთა შრომის სფეროების ღრმა შინაგან ერთიანობას, რომელიც დღემდე მუშათა და გლეხთა კავშირის ურყევი საფუძველია.

„მოგონებების“ ავტორი ბედის მადლიერია, რომ მან მისცა „ცხოვრების გაკვეთილები“ „გლეხის ყანაშიც და ქარხანაშიც“, რამაც განსაზღვრა მისი ხასიათის „ორი თვისება“, რომლებზეც ლაპარაკია წიგნში: საქარხნო შრომისა და მიწათმოქმედის შრომის პატივისცემა, რომელიც შეისისხლხორცა „ბავშვობიდანვე — მშობლისაგან, კამენსკოს და მისი მიდამოების მთელი ვითარებისაგან“. საქმე ის არის, რომ კამენსკოე ნახევრად „რჩებოდა სოფლად, თუმცა აქ ცხოვრობდა ნამდვილი, საქარხნო წრთობის, პროლეტარიატი. პროლეტართა თვით სულში ცოცხლობდა ამსწინანდელ გლეხთა სულისკვეთება“, რაც ვლინდებოდა იმ „მალულ სევდასა და სინანულში“, რომლითაც მამა ლაპარაკობდა სოფლის ლაღ ცხოვრებაზე, პურისადმი სათოთ, წმინდა დამოკიდებულებაშიც და „მარადნალი მიწისადმი“ სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებაშიც, რომელსაც რუსეთში „აფასებდნენ, იცავდნენ, უფრთხილდებოდნენ, საუკუნეთა მანძილზე საკუთარი ოფლითა და სისხლით რწყავდნენ“.

მიწაზე ძნელი შრომით ჩამოყალიბებული ეროვნული ხასიათის ამ ძირეულმა ნიშან-თვისებებმა გაიარა დამატებითი წრთობა, დაიხვეწა საქარხნო შრომაში, რომელმაც ეს ხასიათი გაამდიდრა სოციალური აქტიურობით, რევოლუციურობით, საბრძოლო შეკავშირებით. მათ ენიჭებოდა ახალი, სოციალისტური შინაარსი, კოლექტივიზმისა და მოქალაქეობრიობის სულისკვეთება ქალაქში სოციალისტური გარდაქმნების მსვლელობაში, კოლექტივიზაციის, ამ, ლ. ი. ბრეჟნევის თქმით, სოფლად „უდიდესი სოციალური რევოლუციის“ მსვლელობაში. 20-იან წლებშიც და 30-იან წლებშიც ლ. ი. ბრეჟნევი მათი უაღრესად აქტიური მონაწილე გახლდათ.

ყური მივუგდოთ, ჩავუფიქრდეთ „მოგონებების“ ამაყ და ძლიერ სიტყვებს **მუშური** ზნეობის, მშრომელი ადამიანის დიადი ძალისა და სულიერი სილამაზის შესახებ: „იგი დიადი მშრომელია, აუწყვია მისი მოთმინება, მან იცის თავისი საქმე და მიჩვეულია ვარგად აკეთოს იგი. მეფის დროსაც კი, იქსპლოატაციის პირობებშიც კი, ზიზღს ჰგვრიდა მას ცუდი მუშაობა, რადგან ყოველთვის აფასებდა ოსტატობას და პატივს სცემდა საკუთარ შრომას. კაცობრიობის მიერ დაგროვილი თითქმის მთელი დოვლათი მისი ღონიერი ხელით არის შექმნილი, მაგრამ თვითონ საკუთრების თაყვანისმცემელი არ არის, მისი სული ვერ ჩაალა ანგარებამ და ანგარიშიანობამ, მასში ცხოვლად ჩქეფს სულგრძელობა, სილაღე და მოაზდიული სწრაფვა სამართლიანობისადმი. იგი საზრიანი, გამჭრიახია, ახასიათებს ცინცხალი ჭკუა და იუმორი. იგი მტკიცე, გაბედული, ერთგული მეგობარია, მზად არის ყოველივეს დაეხმაროს ამხანაგებს. ქარხნის საყვირი ყველა ცვლას ერთდროულად უხმობდა, რაზმავდა მუშებს, წარმოშობდა ერთობის, ინტერესების ერთიანობის, იმ პროლეტარული სოლიდარობის ამაღლებულ გრძნობას, რომელიც სხვადასხვა ასაკის, გამოცდილების, ზნე-ჩვეულების, ეროვნების მილიონობით ადამიანს მძლავრ მონოლითურ, ნამდვილად რევოლუციურ კლასად აქცევდა.

ამ დახასიათების ყოველი სიტყვისა იმის გამოც გჯერა, რომ მას საფუძვლად უდევს ავტორის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ავტორისა, რომელიც, როგორც ნათქვამია წიგნში, შთამომავლობით ეკუთვნოდა ამ კლასს, ამ კლასმა აღზარდა, მასთან არის დაკავშირებული, ასე ვთქვათ, სისხლით და ხორცით. „მამაჩემისაკვდილამდე მუშად დარჩა. მუშები იყვნენ პაპაჩემიც, დედაძეები — ჩემი ბიძეები, და მეც, როცა ასაკში მომიწია, ქარხანაში წავედი, ჩემს კვალს გამოკვეთენ ჩემი ძმა, და, მისი ქმარი...“.

„მოგონებების“ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ნაწილი ეძღვნება ამ მრავალრიცხოვან მუშურ ოჯახს: მამას — ილია იაკობის ძეს, დედას ნატალია დენისის ასულს, ავტორის ბავშვობასა და ყრმობას, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკში დამთავრდა, როცა ქარხნის საყვირმა მოუხმო. იმ დიდ ყურადღებას, რომელიც „მოგონებებში“ ეთმობა ბავშვობას, ოჯახს, ავტორისათვის პრინციპული ხასიათი აქვს: იგი დარწმუნებულია, რომ სწორედ ოჯახშია ადამიანის ხასიათი, ცხოვრებისადმი მისი დამოკიდებულების სათავეები“. და ესეც კვლავ და კვლავ უაღრესად ხალხური და ამიტომ ჭეშმარიტი შეხედულებაა ცხოვრებაზე.

შეიძლება ითქვას, მთავარი, რაც განსაზღვრავდა, „მოგონებების“ მიხედვით, ამ ჭეშმარიტად მუშური ოჯახის ყოფას, ცხოვრების ყაიდას, — ეს იყო ადამიანურობა, ერთმანეთის პატივისცემა, შეხმატკბილება, ეს თვისებები, რომლებიც გულისხმობს მკაცრ კეთილობას, სინდისიერებას, დელიკატურობას, თავისებურ, მაგრამ უაღრესად ღრმა შინაგან კულტურას, ყოველივის ახასიათებდა მშრომელ ხალხს როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ყოველ შემთხვევაში, მის საუკეთესო წარმომადგენელს მაინც; სწორედ ასეთი იყო ავტორის მამაც. „მამაჩემისთვის უაღრესად დამახასიათებელი გახლდათ საკუთარი ღირსების გრძნობა, არასოდეს არ თვალთმაქცობდა, გულახდილი, მაგარი კაცი იყო, და ამხანაგებიც პატივს სცემდნენ“.

როცა წინათ გამოსულ წიგნებს „მცირე მიწას“, „აღორძინებას“, „ყამირს“ კითხულობ, არ შეიძლება არ შენიშნო, როგორი პატივისცემით არის იქ მოხსენიებული მშრომელი ქალი, ის უზარმაზარი კეთილშობილური წვლილი, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში შეჰქონდათ და შეაქვთ ქალებს. მაგრამ მოგონებათა მხოლოდ ახალი თავების გამოსვლის შემდეგ ხდება ბოლომდე ცხადი, თუ რა ასაზრდოებს ამ ჭეშმარიტად ჰუმანურ, ცხოვრებისათვის ესოდენ აუცილებელ შეხედულებას. როცა ღრმა შვილური პატივისცემით გვიამბობს თავის დედაზე, მის ხალისიანობასა და ადამიანებისადმი ინტერესზე, უჩვეულო შრომისმოყვარეობაზე და როცა ულრმესი შვილური პატივისცემით იხსენიებს დედას, წერს, თუ რა ლაღი ხალისიანი და გულისხმიერი, არაჩვეულებრივად გამრჯე იყო, როგორი ღიმილით და ხუმრობით იტანდა გაჭირვებას, როგორი მოკრძალებული იყო, რაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე შემორჩა, როცა უკვე მოსკოვში ცხოვრობდა. ლ. ი. ბრეჟნევი შენიშნავს: „მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა, გვზრდიდა, გვაკმევდა, გვირეცხავდა, ავადმყოფობის დღეებში თავზე გვედგა, — მახსოვს ეს და სამუდამოდ მიეჩვიე პატივს ვცემდე ქალის, დედის მძიმე, დაუნახავ, გაუთავებელ და კეთილშობილურ შრომას“.

ეს ყველა ჩვენგანისათვის ძვირფასი და ძალზე დიდმნიშვნელოვანი სიტყვებია. ქალი-დედა ყოველივეს საწყისი, თვით სიცოცხლის, თვით ადამიანთა საერთო ცხოვრების საწყისია.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნები, რომლებიც მთელი თავისი სულისკვეთებით ხვალინდელ დღეს ელვის და უწინარესად მომართულია ახალგაზრდებისადმი, მკითხველს ასწავლის პატივს სცემდეს ტრადიციებს, ადამიანებს, ასწავლის **უყვარდეს ადამიანები**, თანაც ამ ამაღლებული და ძნელი მეცნიერების დაუფლებას იწყებდეს უმირველესით, უწინარესით: საკუთარი დედის, ახლობლების სიყვარულით — უამისოდ შეუძლებელია გქონდეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. „... კაცი, თუ არ უყვარს დედა, რომელმაც სიცოცხლე მიანიჭა, ძუძუ აწოვა და აღზარდა, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — ასეთი კაცი პირადად ჩემში რაღაც ეჭვს იწვევს. ტყუილად კი არ ამბობს ხალხი — დედასამშობლო: ვისაც შეუძლია მიატოვოს და დაივიწყოს დედა, ის ვერც სამშობლოს გამოადგება“.

„სამშობლოს გრძნობა“ — სწორედ ასე ეწოდება „მოგონებების“ მეორე ნაწილს.

არსებითად, მთელი თხრობა მიმდინარეობს ამ უმთავრესი ზნეობრივი გრძნობის გარშემო, რომელიც დამახასიათებელია ყოველი ჭეშმარიტი ადამიანისათვის, ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის.

იგი აღმოცენდება „პატარა სამშობლოს“ გრძნობიდან, ადამიანის ბავშვობიდან და სიყრმიდან, ოჯახის წიაღიდან — და ამაღლებული საზოგადოებრივი იდეალებისათვის ღვაწლიდან, შრომიდან, ბრძოლიდან ამაღლდება ყოვლისმომცველ პატრიოტულ იდეამდე, მოქალაქეობრივ თვითშეგნებამდე, რომელიც ადამიანის ცხოვრების განსაზღვრავს. „სამშობლოს გრძნობა“ ყოველი ჩვენგანისათვის იწყება ბავშვობის ხსოვნიდან, საკუთარი სახლიდან, საკუთარი ქუჩიდან, საკუთარი ქალაქიდან თუ სოფლიდან, — წერს ავტორი. — და ამასთანავე ცხოველია ჩვენში დიდი სამშობლოს გრძნობა, რომელიც შფოთიანობისა და დიდი განსაცდელის ჟამს ერთბაშად კიდით ‘კიდემდე საოცრად ახლობელი და ძვირფასი ხდება“.

სამშობლოს გრძნობის შესახებ ამ მსჯელობაში იგრძნობა პოლემიკური ნოტებიც, რომლებიც მიმართულია პატრიოტიზმის წმინდა მჭვრეტელობითი, უმოქმედო გაგების წინააღმდეგ. „სამშობლოს გრძნობა... რა თქმა უნდა, ჩვენი მიწა-წყლის სილამაზის მარტოოდენ მჭვრეტელობით არ საზრდოობს (თუმცა ვიტყვთ, მშობლიური დნეპროსპირეთის სილამაზე ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში მშვენივრად არის აღწერილი. — ფ. კ.). მასში, როგორც იტყვიან, ფესვები უნდა გავიდგათ, და როცა კაცი ოფლს ჩაღვრის ამ მიწაში, პურს მოიწევს, ქალაქს აღაშენებს, ახალ გზას გაიყვანს თუ სანგრებს გათხრის ამ მიწაზე მის დაცავად, — აი მაშინ გაიგებს ბოლომდე, რა არის სამშობლო“.

პატრიოტიზმი ლ. ი. ბრეჟნევის გაგებით — ეს არის ადამიანის მოქალაქეობრივი პოზიცია, შინაგანი, აქტიური წყურვილით — სიკეთე მოუტანოს თავის ხალხს, რაც ვლინდება მამულის საკეთილდღეო ქცევითა და მოღვაწეობით და საბოლოოდ ამაღლდება „პირადი პასუხისმგებლობით კეთილშობილურ გრძნობამდე ყოველივეს იმისათვის, რაც ჩვენს მიწა-წყალზე ხდება“.

„მოგონებებში“ ნაჩვენებია, როგორ იშვება და იკრეს ძალას ჩვენი ხალხის ზნეობრიობის წიაღიდან, ჩვენი წყობილების ჭეშმარიტად ჰუმანისტური სოციალური საფუძვლებიდან საბჭოთა ადამიანების დაუოკებელი მისწრაფება მშვიდობისადმი — იმისათვის, რომ დავიცვათ, ვიხსნათ ქვეყნერებისა და მთელი სამყაროს უზენაესი ღირებულება — ადამიანი. წინასწარმეტყველურად ჟღერს რეაქციის შავნნელი ძალებისათვის მამის, ილია იაკობის ძე ბრეჟნევის სიტყვები, რომელიც ჯერ კიდევ 30-იან წლებში მოითხოვდა „ჰიტლერის ჩამოხრჩობას“, რათა „შორიდან ეცქირა ყველას, რა მოუვათ იმათ, ვინც ომს ატეხავს“. „კაცს მარქსისტული თეორია არ უსწავლია, მაგრამ, როგორც იტყვიან, შინაგანად გრძნობდა ჩვენი საქმის დიდ სიმართლეს, ხედავდა ფაშიზმის საშიშროებას და ძალზე ზუსტად გამოხატა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის დამოკიდებულება ომის საფრთხისადმი“.

მშვიდობისათვის დაუცხრომელ ზრუნვას, რომლითაც განმსჭვალულია ლ. ი. ბრეჟნევის მთელი მოღვაწეობა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე, სულ უფრო მძლავრად უჭერენ მხარს მილიონები. იგი გამოხატავს ქვეყნად ყველა ადამიანის ბუნებრივ მისწრაფებას შრომისა და მშვიდობისადმი.

„მოგონებებისათვის“ დამახასიათებელია განსაკუთრებით გულმოდგინე ყურადღება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების იდეური და სულიერი საწყისებისადმი, იდეოლოგიური მუშაობისადმი, რომელიც მუდამ იყო და არის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. „ეს მუშაობა მრავალფეროვანია, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი, — იგი მოითხოვს მეცნიერულად ვაანალიზებდეთ პროცესებს, რომლებიც საზოგადოებაში მიმდინარეობს და დღენიადაგ ვწყვეტდეთ ამასთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს. შეუწყნარებელია თუნდაც დროებით, თუნდაც ცალკეულ უბნებზე დავივიწყოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების იდეური საწყისი, შეკუთვნებდეთ იდეურ შეცდომებს. ერთი შეხედვით, ეს შეცდომები არც ისე შესამჩნევია, როგორც, ვთქვათ, ტექნიკური შეცდომები, თუ სწორად არ არის დაპროექტებული ესა თუ ის აგრეგატი, იგი მოსალოდნელ სიმძლავრეს ვერ მოგვცემს ან საერთოდ არ ამუშავებს — ეს მაშინვე ჩანს, ზარალის განაგრძობება აქ იოლია. იდეოლოგიის შეცდომა კი, როგორც წესი, მიჩქმალულია, კამუფლაჟირებულია ლამაზი სიტყვების სამოსით, და მით უფრო საშიშია თავისი შედეგებით, რამეთუ აუცილებლად იჩენს თავს და უზარმაზარ ზიანს მოგვაყენებს, თუ დროულად არ გამოვასწორეთ, თანამედროვე მსოფლიოში ვაკუუმი არ არსებობს. იქ, სადაც ჩვენ გულარხეინობას ვიჩენთ, ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი მოქმედებენ“.

ლ. ი. ბრეჟნევი გვეუბნება, რომ იდეოლოგიურ მუშაობას უმჯიდროესი კავშირი უნდა ჰქონდეს ცხოვრების პრაქტიკასთან, მის ძნელ და ხშირად გადაუწყვეტელ საკითხებთან, რომ საჭიროა გაბედულად და პირდაპირ გავცეთ პასუხი ამ კითხვებს, „გავაცნოთ ხალხს მიზნები, რომლებსაც ვისახავთ, განვუმარტოთ, კონკრეტულად რას ესწრაფვის მოცემულ ეტაპზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი. იგი მოგვიწოდებს მგზნებარე იყოს ჩვენი პარტიული სიტყვა და აღნიშნავს: „ამ მუშაობაში მთავარი იარაღია სიმართლე, ჩვენი აზრით, წარმატებებზეც და ხარვეზებზეც პატიოსნად უნდა ვილაპარაკოთ. გულია ლაპარაკი ადამიანებისათვის ყოველთვის გასაგებია. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის ძალა მასების შეგნებულობაა“.

„მოგონებებში“, ისევე როგორც ლ. ი. ბრეჟნევის წინა წიგნებში, ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ, როგორ ვაკაცდებოდა, მტკიცდებოდა, იწრთობოდა სამშობლოსა და მშვიდობის ბედისათვის ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი და ღრმად ხალხური დიადი პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიისა და ხალხის სასახელო დიდ და ძნელ საქმეებში.

ეს პატრიოტული და ამავე დროს ინტერნაციონალური გრძნობა მომდინარეობს მუშათა კლასის რევოლუციური ტრადიციებიდან „სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში იდეური საწყისებიდან“, რომელიც სოციალიზმის არსს, ჩვენი პარტიის პოლიტიკის არსს შეადგენენ.

იგი მომდინარეობს უაღრესად მრავალფეროვანი პარტიული, სახელმწიფო და სამხედრო მუშაობის გამოცდილების იმ შენაღნობიდან, რომელმაც ლ. ი. ბრეჟნევი ხელმძღვანელად ჩამოაყალიბა და რომლის შესახებაც დაწვრილებით ნაამბობი მის წიგნებში.

იგი მომდინარეობს ოჯახიდან, ბავშვობისა და ყრმობის „სამყაროდან“, რომელსაც „პატარა სამშობლო“ ეწოდება, საზრდოობს მშრომელ თაობათა ხსოვნით, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უვლდნენ და იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს.

იგი მომდინარეობს ხალხის ცხოვრების უღრმესი ფენებიდან, რომელსაც მთელი თავისი ბიოგრაფიით, მოღვაწეობით, თვითშეგნებითა და ზრახვებით სავსებით მიეკუთვნება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ფელიქს კუზნეცოვი,

„პრავდა“, 1981 წ. 12. XI.

მომავალ მექანიზატორებთან და მშენებლებთან

რესპუბლიკის მრავალ მეურნეობაში და სამშენებლო მოედნებზე მუშაობენ თერჯოლის № 87 პროფტექნიკური სახწავლებლის კურსდამთავრებულები. ესენი არიან ტრაქტორისტები, ბულდოზერისტები, მეექსკავატორეები, ელექტროშემდუღებლები, მებათქაშეები, მღებავები, დურგლები, მალალი ძაბვის ხაზების მეშონტაჟე მონტიორები.

ახლა 270 ქალიშვილი და ბიჭუკი ეუფლება მექანიზატორისა და მშენებლის სპეციალობებს. მათს განკარგულებაშია კარგად მოწყობილი ბაზისა და სპეციალურ-ნოლოგიის კაბინეტები, ლაბორატორიები და სახელოსნოები.

ნათელი და ვრცელი კლასები დათმობილი აქვს თეორიულ გაკვეთილებს.

ზურათზე: საწარმოო სწავლების ოსტატი ონისე კასრაშვილი მოსწავლეებს უხსნის ტრაქტორის ძრავის მოწყობილობას.

(საქინფორმის ფოტოკორონიკა).

პარტიული ცხოვრება: მიზდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ოსთოოვე ჯერ საკუთარ თავს

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ

ᲐᲛᲑᲝᲑᲐᲠᲔᲗᲘ ერთ-ერთი უძველესი და კარგი ტრადიციების მქონე სოფელია ახალციხის რაიონში. ამ სოფლის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ბრძოლისუნარიანობით ხასიათდება, მისი კომუნისტები — აქტიურობით. ეს კიდევ ერთხელ ცხადყო ამას წინათ გამართულმა კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივანმა ვ. ჯვარძეძემ.

კამათი თავიდანვე ცხარედ დაიწყო, მაგრამ ზოგიერთის გამოსვლას ტენდენციურობა, საკითხისადმი ცალმხრივი მიდგომა ემჩნეოდა. რაგითი კოლმეურნის ამირან ჯვარძეძის სიტყვამ თითქოს საკუთარი ადგილი მიუჩინა ყველა გამოსვლას.

ᲙᲐᲠᲑᲘᲐ, რომ ასე ცხარედ ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს, რომ საქმე გულთან ახლოს მიგვაქვს. მაგრამ, აბა, დავუფიქრდეთ, ხანდახან ჩვენს წარმმატებლობას სხვას ხომ არ გადავაბრალებთ ხოლმე? მართალია, ამ ბოლო დროს ზოგიერთ უბანზე გვაქვს გარკვეული მიღწევები. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებთ. ყველა დამეთანხმება, რომ უფრო მეტის მიღწევა შეგვეძლო, მონდომება დავაკელით საქმეს.

ასეთი მუშაობა დღეს აღარავის აკმაყოფილებს. განა საყვავრის მთის სათიბ-საძოვრების პატრონებს სამარცხვინოდ არ უნდა მიგვაჩნდეს წველადობაში რაიონის ცხრამეტ კოლმეურნეობას შორის ერთ-ერთი ბოლო მეთექვსმეტე ადგილი? ამ საქმეში ჩამორჩენას ვერა და ვერ დავაღწიეთ თავი. მიზეზი? თითქოს აღინიშნა მიზეზები, მაგრამ — ზოგადად, ცალმხრივად. დამნაშავე თითქოს ვიღაც სხვაა, რომელიც არ მოდის, არ გვეხმარება და ჯიშიანი პირუტყვით დაკომპლექტებულ ავტომატურად სამართავ ღილაკზე აწყობილ მზა კომპლექსურ ფერმას არ მოგვართმევს. კი, ბატონო, ეს ასე რომ იყოს, ამას რაღა აჯობებდა, მაგრამ განა ჩვენს ხელთ არსებულ რეზერვებს კი ვიყენებთ სრულად? აი ამაზე ნაკლებად ვლაპარაკობთ...

ოქტომბრის შუა რიცხვებში, მთელი მესამე დეკადა ისევ წინ იყო, მზით, ჯანსაღი ჰაერით. წყლითა და ალპური ზონის ნოყიერი ბალახით მდიდარი მთა მივატოვეთ და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი უკვე ბარში, ტყის ზოლებით შემორაგულ სოფელში ჩამოვრეკეთ. ამინდები კი კარგი იყო. ყველამ კარგად იცით, სოფლის შემოგარენს ვთიბავთ ხოლმე, მეორედ გადამწვანებულ ფერდობებს კი ადრე გაზაფხულზე ვიყენებთ ცხვრის საძოვრებად. ახლა თავზე საყრელი საკვებიც რომ გვქონდეს, პირუტყვს ვერ დავაბამთ. მოსახლეობასაც მეტი ჰარ უნდოდა. როგორც კი დაინახა კოლმეურნეობის საქონელი გაშლილიო დღემდე ნაკრძალ ტყისპირა საძოვრებზე, თვითონაც იქით გადაინაცვლა.

აუკრძალავ? ვერაფერს გახდები. თანაც საყვავრის მთის ბალახის მერე საქონელს უჭირს აქ ძოვა და მთელი ზაფხულის მანძილზე დაცულ, ნასათუთებ, ცხვრისათვის შემონახულ ტყისპირა საძოვარს ჩლიქებით ქელავს, თხრის, აფუჭებს...

ერთი სიტყვით, საყვავრის მთიდან საქონლის ჩამოყვანა დანაშაული იყო. ამის სავალალო შედეგმა უკვე იჩინა თავი: მკვეთრად შემცირდა წველადობა. თითო ძროხაზე საშუალოდ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 173 კილოგრამით ნაკლები რძე იწველება.

რეპლიკა დარბაზიდან:

— მთაში ახლა ღამით ძალიან ცივა. ახლად დამაკებული პირუტყვის ღია ცის ქვეშ დატოვება რომ არ შეიძლება, არ იცი?

— ოქტომბერია და ცივა. ამაში გასაკვირი არაფერია. საყვავრის მთებში კი არა, აქაც აგრილდა. არც აქ დაიტოვება საქონელი გარეთ. მით უმეტეს, ფური და ნერბი. მაშ რა ვქნათ? ხომ შეგვიძლია რაიონის ხელმძღვანელობის შეუწუხებლად უცემენტოდ და უხარჯოდ მთაში ბუნებრივად შესაფერის ადგილზე მყუდრო სადგომის აგება. ამისათვის ძირითადად საშუალო ზომის ლატები გვჭირდება, აი ისეთი, თითქმის ყოველ თვეს საქორწილო თუ საქელეხო სეფისათვის რომ ვეზიდებით ხოლმე. მე პირადად მეხერხება მშენებლობა. დამავალეთ და გავაკეთებ. ავაგოთ სადგომი და დარწმუნდებით, რომ ფიდთოვლობამდე იქ დარჩენილი პირუტყვი ჩვენი მოუწადინებლობის ბრალია.

კვლავ რეპლიკა:

— მართალია, მართალი! ჩვენი გასაკეთებელი ჩვენვე უნდა გავაკეთოთ.

— დიახ, ვისაც რა ეკალება, გულით უნდა გააკეთოს და არა მხოლოდ ვალის მოსახდელად. პატარა რამე რომ დაგვჭირდება, ყველანი თავმჯდომარეს მივადგებით ხოლმე. რატომ? კოლმეურნეობაში ხომ გვყავს სპეციალისტები. მემინდვრეობა, მებაღეობა და მებოსტნეობა ბრიგადებსაც ხომ ჰყავთ ხელმძღვანელები. უმეტესობა ახლა ამ დარბაზში ზის, წამოდგეს თუნდაც ერთი მათგანი და თქვას კონკრეტულად — დღეს, ან ამ კვირას, ან ამ თვეში რა გააკეთა, რა პარტიული დავალებები ეძლეოდათ ჩვენს კომუნისტებს საანგარიშო პერიოდში, როგორ ასრულებდნენ მას? ანგარიში, შეჯამება ყველაფერს სჭირდება.

ახლა, როცა შემოდგომის მზიანი ამინდები გვიდგას, ვსხედვართ მთელ დღეს და გზას გავყურებთ — „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მანქანები როდის მოვლენ, რომ საქმე გაგვიკეთონ — მოხნან, დათესონ, მოსავალი აიღონ...

დღისათვის სოფელში საშემოდგომო თესვა ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, ჯეჯილი კი უკვე უნდა ბიბინებდეს. აბა, ამის შემდეგ დათესილი რა მოსავალს მოგვცემს. ამიტომ არის ჩვენთან მცირე მოსავლიანობა და ეს ყველაფერი ისევ ჩვენი, განსაკუთრებით კომუნისტების ბრალია. ისიც სწორია, რომ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება მანქანებით დროზე არ გვამარაგებს. მაგრამ რატომ არ შევძრავთ ქვეყანას, რატომ არ დავამხობთ თავზე ცას დამნაშავეს? ყველანი აქაურები ვართ და კარგად ვიცით, რომ ჩვენი სოფლის ყანები ზოგი მზის გულზეა გადაშიშვლილ, ზოგი — ჩრდილში. მათ დამუშავებაც შერჩევით ესაჭიროებათ. შერჩევით უნდა მოიხნას, შერჩევით დაითესოს, მერე მოსავალიც შერჩევით ავიღოთ. მაგრამ ჩვენ ამას არ ვშვრებით და დიდადაც ვზარალდებით.

სოფელსაც მიხედვა უნდა, მშრომელთა სატკივარს — გაგება. და გასაკეთებელიც არაფერ დარჩება. ამასთან წესი და რიგ ყველგან საჭიროა. „როგორც მოგვეხდებას“ პრინციპით საქმის კეთება დიდ სარგებელს ვერ მოგვიტანს. კარგა ხანია სოფელში სასოფლო საბჭოს ახლა ასამდე პედაგოგი მოღვაწეობს, 84 ადგილობრივი და საქალაქო საბჭოს დეპუტატია, ხოლო ერთი წარმომადგენელი რესპუბლიკის პარლამენტშიც გვყავს. ეს მთელი არმიაა თუ მას გონივრულადაც გამოვიყენებთ.

მოსახლეობის იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას ემსახურებიან აგიტკოლექტივები, პოლიტინფორმატორთა და ლექტორთა ჯგუფები. განსაკუთრებით კარგად მოვაწყვეთ ლექციური მუშაობა. აუდიტორიის შესაკრებად დროს როდი ვკარგავთ. საინტერესო ლექციებს ვმართავთ მასობრივი მუშაობის დროს უშუალოდ ფართობებში, ხოლო საღამოობით — ცალკეულ საცხოვრებელ უბნებში. ადგილობრივმა ლექტორებმა ა. წერეთელმა, ნ. გურაბანიძემ, გ. დევიძემ, შ. გოგოლაძემ და სხვებმა წელს ასამდე საინტერესო ლექცია წაიკითხეს.

პერევისელებისათვის დიდი შენაძენია ახლახან გახსნილი მუსიკალური სკოლა, აბანო, კეთილმოწყობილი საპარიკმახერო, ტანსაცმელების სამკერვალო...

ახლად გახსნილ სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ართველოს ...ქტიის ...ტრალური ...ტეტის ...უმის ...ხედრად

...ირის მოკლე მონაკვეთ-...ვებული საბჭოთა სახე-... წარმატებანი განუყო-...ის დაკავშირებული ეკ-...ი და სოციალური პრო-... უნარიან მართვასთან, სა-...ბრივი ცხოვრების განვ-...ის გეგმით გაძღოლასთან. ...ბა კი ჩვენი სახელმწიფ-...ნაშვნელოვანესი პრინციპ-...

...ანებში კომპლექსური ...ის ახალი ეტაპი გახდა ...ტრაციულ-ტერიტორიული ...ების — რაიონების, ქა-... ოლქების ეკონომიკური ...ციალური განვითარების ...დინაი პერსპექტიული ... შეგუშავება.

...დაგროვდა სოციალური ...ის საკმაო გამოცდილება, ...სხვადასხვა რეგიონის ეკ-...ური და სოციალური განვ-...ის გეგმების გაცნობამ ...ფა, რომ ისინი ჯერ ...ერ დგას სასურველ დონ-...ს განსაკუთრებით ეხება

...რთლწესრიგის განმტკიცება ...ეცნიერულ საფუძვლებზე

...ს იმ ნაწილს, რომელიც ...ისტური კანონიერებისა ...ოლწესრიგის განმტკიცე-...ითხებს ეძღვნება. ბევრ ... კრიმინოლოგიური პრო-...ტ წარმოდგენილია მხო-...სამართლებრივი აღზრდისა ...ბის დისციპლინის საკით-...ზოგიერთ გეგმაში და საე-...ერ ვხედავთ შესაბამის ...ოლოგიურ ნაწილს.

...ალური დაგეგმვის პრაქ-...ეგაფალსწინებით, რეგიო-...ნმეიური და სოციალური ...ების გეგმაში სამართლ-... საკითხები სასურველია ...ანდეს ერთ ქვეთავში, რო-...ათური იქნება „სოციალ-... კანონიერებისა და მარ-...ოგრის განმტკიცება“ და ...ოდეს გეგმის იმ თავში, რო-... „მშრომელთა კომუნისტ-...ლბრდა“ ეწოდება.

...ალისტური კანონიერები-... მართლწესრიგის განმტკი-...ერთ-ერთი თანავარი მიმა-...ბა ბრძოლა სამართალდა-...ის წინააღმდეგ. ამიტომ ...ად სწორედ ამ საკითხ-...ედა გავამახვილოთ ყურად-...

...ნაშავეობის წინააღმდეგ ...ის სოციალური დაგეგმვის ...ებას სისხლის სამართლის ...ტიკის მეცნიერული ანალ-...ვეა. მასზე დაყრდნობით, ...ელად უნდა განისაზღვრ-...ფერში დადნაშავეობის დო-... დანაშაულის რაოდენ-... მაჩვენებელთან ერთად ...ბობს დამნაშავეობის კო-...ტის დადგენას 10 ათას ან ...ას მცხოვრებზე გაანგარ-... პრაქტიკაში დამნაშავე-...ოდენობრივ მაჩვენებ-...ატმოლაც გარკვეულ უპი-...ბას. ანიჭებენ, დამნაშავე-...ფიციენტი კი ხშირად ...ლობის მიმდა რჩება. ჩვენი ...ამა თუ იმ რეგიონში მო-

რალურ-ფსიქოლოგიური კლიმ-ატის დაძაბულობის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელი სწორედ დამნაშავეობის კოეფიციენტია.

დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის გამოკვლევისას ცალკე უნდა გამოიყოს ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეობათა დანაშაულობანი და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მათს შესწავლას. დამნაშავეობის გავრ-ცელების განსაზღვრისათვის დი-დი პრაქტიკული ღირებულება აქვს დამნაშავეობის ეკოლოგიურ-რი რუკის შედგენას. ასეთ რუკა-ზე გამოკვეთილი უნდა იყოს და-მნაშავეობის ზონები (რეგიონის ტერიტორიის გარკვეული მონაკ-ვეთის ფარგლებში ან უბნების მიხედვით), რომლებიც დანაშაულის ჩადე-ნის ყველაზე დიდი ინტენსიურ-ობით გამოირჩევა.

დამნაშავეობის მდგომარეობის ზოგად სურათზე წარმოდგენას ბევრად განსაზღვრავს დამნაშავე-ეთა პიროვნების დახასიათება. პიროვნების შესწავლისათვის მრა-ვალი მაჩვენებლის გამოყენება შეიძლება. მათ შორის უეცილ-ბელია დამნაშავეთა დაჯგუფება სოციალური მდგომარეობის, ასაკის, სქესის, განათლებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. მიზანშე-წონილია აგრეთვე გამოცალკევ-დეს ორი ძირითადი კატეგორ-იის დამნაშავეები: პირები, რომ-ლებმაც პირველად ჩაიდინეს და-ნაშაული, და ყოველგვარი რე-ციდივისტები. არიან დამნაშავეთა კიდევ ერთი კატეგორიის დამნა-შავენი, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ საერთო სისტე-მაში — პირნი, რომლებიც ჩაბმულ-ი არ არიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. მათი ხვე-დრითი წილის განსაზღვრას ფრა-ად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კომპლექსური შესწავლის საგ-ანი უნდა გახდეს არასრულწლო-ვან დამნაშავეთა კონტინგენტი. სპეციალური ანკეტის საშუალებით უნდა დამუშავდეს არასრულწლო-ვანთა დანაშაულის ფაქტის გა-მო აღძრული სისხლის სამართ-ლის საქმეები. ამასთანავე მხედ-ველობაშია მისაღები ინსპექც-იებისა და კომისიების განკარგ-ულებაში არსებული არასრულ-წლოვანთა საქმეების მასალები.

გამოკვლევაში დამოუკიდებე-ლი ადგილი უნდა დაეთმოს დამ-ნაშავეობის მიზეზებისა და ხელის-შემწყობი გარემოებების ანა-ლიზს. აღნიშნული საკითხების შესწავლა საჭიროა გამოსაკვლევი რეგიონის პირობების გათვალი-სწინებით. კერძოდ, მხედველო-ბაში უნდა მივიღოთ რეგიონში მრეწველობის განვითარების დო-ნე, მოსახლეობის რაოდენობა, სოციალური შემადგენლობა, დემ-ოგრაფიული პროცესები, ურბა-ნიზაცია და სხვა. სპეციალურ შე-სწავლას მოითხოვს ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და სხვა კრიმინოლოგიური ფაქტორების მოქმედება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გა-ირკვეს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილის დინამიკა, ერთ სულ მოსახლეზე ალკოჰოლინი სასმელის მოხმა-რების საშუალო მაჩვენებელი.

აღნიშნული საკითხების გამოკ-ვლევის შედეგად მიღებული დას-კვნები საკმაო საფუძველს მოგვ-ცემს არა მარტო სამართალდამ-ცველი ორგანოების საქმიანობის შეფასებისათვის, არამედ დამნა-შავეობის დინამიკაში მოსალოდ-ნელ ცვლილებათა წინასწარი განჭვრეტისათვის, კრიმინოლოგიური პროგნოზირებისათვის. რასაკვირ-ველია, აბსოლუტურად ზუსტი პროგნოზის განსაზღვრა რთულია, მაგრამ ეს გარემობა სრულებით-აც არ გამორიცხავს პროგნო-ზირების შესაძლებლობას.

განასხვავებენ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პროგნოზებს. ყველაზე უფრო ოპტიმალურად მიჩნეულია საშუ-ალოვადიანი (10 წლამდე) პრო-გნოზირება. კრიმინოლოგიური პროგნოზირებისას ყოველი მო-ვლენა, რომელიც გარკვეულწი-ლად გავლენას ახდენს დამნაშა-ვეობის მდგომარეობაზე, გათვა-ლისწინებული უნდა იყოს კომპ-ლექსით, სხვა მოვლენებთან ურ-თიერთკავშირით.

საბოლოო ანგარიშით, რეგიონ-ის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის ქვეთავი, რომელიც სოციალისტური კანონ-იერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს ეძღვნ-ება, ორი ლოგიკურად ურთიერ-თდაკავშირებული ნაწილისაგან უნდა შედგეს. პირველ ნაწილში მოცემული იქნება დამნაშავეობის მდგომარეობის ანალიზი, მეორეში —დანაშაულის, მისი ცალკეული სახეობებისა და დამნაშავეობის კოეფიციენტის შემცირების საგე-გმო დავალებანი და ამ მიზნისათ-ვის განსაზღვრული კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა.

რეგიონში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგ-ის განმტკიცების სოციალური გეგმის შედგენას, ცხადია, წინ უნდა უძღოდეს განვლილი ხუთი ან ათი წლის ფაქტობრივი მდგომ-არეობის ღრმა, მეცნიერული გამოკვლევა. ეს უაღრესად შრომატევადი საქმეა და მოითხოვს სპეციალურ კომპეტენციას, მეცნიერული ძალების გამოყენებას.

ამიტომ მიზანშეწონილად გვესახება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების საერთაშორისო განყოფილებანი, რომლებიც ძირითადად რეგიონალური დაგეგმ-ვის პრობლემებზე მუშაობენ, შეიესოს სწავლულ იურისტთა კადრებით. მართლწესრიგის გან-მტკიცების სოციალური დაგეგმ-ვის საკითხებით უნდა დაინტერ-ესდეს აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომ-იკისა და სამართლის ინსტიტუტ-ი.

ამ გზით შეიძლებთ მართლწეს-რიგის განმტკიცებისათვის პირ-იული, საბჭოთა და სამართალდა-მცველი ორგანოების საქმიანობა მეცნიერულ საწყისებზე დავაფ-უძნოთ და მაქსიმალურად შედ-ეგის მომტანი გავხადოთ. საკით-ხებისადმი ასეთი მიდგომა უშუ-ალოდ გამომდინარეობს სოციალ-ისტური კანონიერების განმტკ-იცებაში, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში მეცნიერებ-ის როლის ამაღლებისა და რესპ-უბლიკის ადმინისტრაციული ორ-განოების საქმიანობაში მეცნიერ-ებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ საქართველოს ზემდგომი ორგა-ნოების დადგენილებიდან.

ჯ. ხეცურიანი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.

...აკვეები, კიდევ და ...იდევ საკვები!..

...ორჯომის რაიონი რომ ...ქების ღირსია როგორც ...ი, ეს მთელმა ქვეყანამ ...მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ ... რომ აქაურებს მხოლოდ ...ოთ თავმოწონება აღარ ...ფილებთ,

...ენს რაიონს იმის სრული ...ებლობა აქვს, რომ უან-... წლებში მეცხოველეობით-...ოქვას სახელი, — გვითხ-...ტრის ბორჯომის რაიკომის ...ლმა მდივანმა ი. გურგენი-... — და ეს ჩვენი ერთ-ერთი ...ნელოვანესი ამოცანაც ...ენაიდან ხორცისა და რძის ...ქტებზე კურორტის მოთ-...ებას საკუთარი შესაძლე-...ებით სანაბეგროდაც ვერ ...ოფილებთ.

ნათქვამს ჩვენდათავად ...ადუმატებთ, რომ ბორჯო-...ფირმის მუშაკები რა პრო-...საც აწარმოებენ, სახელ-... ჯერჯერობით ხელს ისაც ...ევეს.

...ენ ის არის, რომ აქ, მართ-... მეცხოველეობის პროდუქ-... დამზადების 9 თვის გეგ-... გადამეტებით შესრულეს, ...რძისა და ხორცის თვითო-...ულება საგეგმოზე ორჯერ

...ტრის რაიკომი, უწინარეს ...ისა, ამ ბარიერის გადალა-...ფირმის პროდუქციის გაია-... აპირებს მეცხოველეობის ...ის წელი ბარამთვისა და ...ოვის მეცადინეობას აკქტი-... გულმოდგინედ ეძებს და ...ს რეზერვებს.

...ავარ რეზერვად კი, რო-... საერთოდ ყველგან, აქაც ...ერი წარმოების იაფი საკვე-...ულებად დამზადება მიაჩნიათ, ...ან პირუტყვის პროდუქტიუ-... სწორედ ფურაქის სიუხ-... სინოყიერეზე ჰკიდია.

...ვები საკარგულებით ძალზე ...ერი არ არის ბორჯომის რა-... მაგრამ თვისი მდელოების ...ერი ბალახით, სუბალპური ...ულობით შემოსილი მთე-... და ველებით ბევრ რაიონს ...ოფილებთ.

...ტრო ქცია-ნარიანისა და ...ურაოს სათიბები რად ღირს? ...ერი 2900 ჰექტარი საკვე-...ერგულების ძირეული და ...ული გაუმჯობესებით, ...ბარმოებაში ინდუსტრიუ-...ექნოლოგიის დანერგვით, — აღნიშნავს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. შარიქაძე, — ჩვენ შეგვიძ-ლია ყოველწლიურად იმდენი უბ-ეში და წვნიანი საკვები დავამზა-დოთ (170 ათასი ცენტნერი საკ-ვები ერთეული), მთელ ზამთარს (210 დღის განმავლობაში) გვეყო-ფა რაიონის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის თითქმის ნახევრის გამოსაკვებად.

ეს გაანგარიშება მხოლოდ თეორიული ანალიზის ნაყოფი როდი გახლავთ. მას საფუძვლად უდევს ის მეტად საყურადღებო შედეგები, რომლებსაც ახალშექ-მნილმა ბაკურიანის საკვებმოპო-ვების საბჭოთა მეურნეობამ წლ-ეულს მიაღწია.

წარმატებები მხოლოდ წლევა-ნდელი ხელსაყრელი ამინდების წყალობა როდია. ნაყოფი გამოი-ღო სათიბ-საძოვრებისადმი ადა-მიანების მზრუნველმა დამოკიდე-ბულებამ, საკვებწარმოების ცალ-კე დარგად გამოყოფამ, რომელსაც საქმის ცოდნითა და ენერგიულად უძღვება მეურნეობის დირექტო-რი, ერუდირებული აგრონომი გ. სანდაძე.

— 15 წელია, რაც რაიონში ნაკლებად პროდუქტიული მდელ-ოლების გაუმჯობესება დაიწყო, —გვეუბნება მეურნეობის დირექ-ტორი, — მაგრამ ამ მხრივ ძირი-თადი სამუშაოები შარშან და შარ-შანწინ შესრულდა. 1979-1981 წლებში საქსახსოფსტექნიკის ტე-ქნოლოგიური დაპროექტებისა და ეკონომიკური პროგნოზირების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული მეთოდით ქცია-ნარიანის მასივში (ზღვის დონიდან 2100 მეტრი) ზედაპირულად გაუმჯობესდა 1770 ჰექტარი ბუნებრივი სათიბი, ხო-ლო ძირეულად — 200 ჰექტარი. ეს ფართობები გაიწმინდა ქვი-სგან, შხამიანი, სარეველა და სხვა ისეთი ბალახ-მცენარეებისგან, რომლებსაც პირუტყვი არ ჭამს. გადაიხნა მწირი, კოლბოხიანი საძოვრები, სადაც სასუქების შე-ტანის შემდეგ საქართველოს ზო-ვიტერინარული ინსტიტუტის რეკომენდაციით შევთესეთ სხვა-დასხვა ბალახი (სამყურა, სათა-თურა, კოინდარი, მდელოს წივა-ნა), მაგრამ უპირატესობას მაინც ტიმოთელასა და უფრო ზვრიე-ულს ვაძლევეთ. იქ, სადაც ტიმო-თელისა და ბარდის ნარევი დავ-თესეთ, თვეის მოსავალმა ჰექტა-რზე 30-40 ცენტნერს მიაღწია. მოსავალი უფრო ხვავრიელი იქ-ნებოდა, ტიმოთელის თესლი რომ მეტი გვქონოდა.

ბორჯომელ საკვებმომპოვებ-ლებს ყველაზე მეტად დაჩქარე-ბული გამდელობის ექსპერიმენ-ტება გაუმართლა.

წლეულს ამ მეთოდით ნარიაგ-ანის ველზე ძირეულად გაუმჯობ-ესებული სათიბიდან, სადაც მინ-ერალური სასუქების შეტანასთ-ან ერთად განხორციელდა ჭვარ-ედანი ფრეზვა, ბალახის თესვი-სწინა და თესვისშემდგომი დატ-კეპნა, თითოეულ ჰექტარზე 51 ცენტნერი თივა მიიღეს. ადრე ამ მდელოზე თივის ჰექტარობ-რივი მოსავლიანობა 8-10 ცენტ-ნერს შეადგენდა. ეს კი მოწმობს, რომ ამ სათიბების გაუმჯობესებ-სათვის გაწეული ხარჯები მთლი-ანად 2-3 წელიწადში ანაზღაურ-დება.

ამ ვარაუდს საფუძვლად უდევს ისიც, რომ თითქმის 5-ჯერ შემ-ცირდა თითოეული ცენტნერი თივის თვითღირებულება. თუ ადრე ნარიანწმი ტონა თივის წარმო-ება 70 მანეთი ჯდებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 15 მანეთს აღარ აღემატება.

ამ დიდი საქმის ბოლომდე მი-საყვანად ჯერ ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. უწინარეს ყოვ-ლისა, ჭირს ბალახის თესლის შოვნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სოფლის მეურნე-ობის მინისტრის 1980 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით რესპუბლი-კის გაერთიანება „საქჩიმრეწვა“ დაეკისრა ბაკურიანის საკვებმოპო-ვების საბჭოთა მეურნეობისათვის ბალახის თესლის გამოყოფა, გა-ერთიანებას შვრიისა და ბარდის გარდა სხვა არაფერი გაუცია. არა-და გამოცდილებამ ცხადყო, რომ ქცია-ნასიანის საკვებ სავარგულე-ბში ყველაზე ეფექტიანია ტიმო-თელის, იონჯისა და უფხო შვრ-ელას თესვა.

ბაკურიანელი საკვებმომპოვე-ბლები მეტ დახმარებას ელიან წყალთა მეურნეობისა და მელიო-რაციის სამინისტროსგან, საჭესახ-სოფსტექნიკისგან, ყველა სხვა უწყებისგან, რომლთა ხელშე-წყობაზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქცია-ნარიან-ში და საერთოდ, ბორჯომის რაი-ონში ფურაქის საიმედო მარაგის შექმნის დიდი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, მთის სათიბ-საძოვრების ღალის მომ-ტება.

ვ. კასრაძე,
გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

გონიერებისა და ჰუმანიზმის ხმა

იდეები და წინადადებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუში დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შპიგელისადმი“, ფართო გამოხმაურებას პოულობს პლანეტის ყველა კუთხეში. ამ სამშვიდობო ნაბიჯდადებებს, რომლებიც ახლობელი და გასაგებია ხალხებისათვის, სულ უფრო ეტყდა უჭერს მხარს მსოფლიო საზოგადოებრიობა, რასაც მოწმობს პრესის მრავალრიცხოვანი კომენტარები, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა კამონათქვამები.

იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები დაუფარავად აწყობენ მსოფლიო ბატონობის მისაწვდომად გამიზნულ გეგმებს, ნატო კი შეიარაღების ახალ-ახალ პროგრამებს იღებს, მოსკოვიდან კვლავ გაისმის მგზნებარე მოწოდება განიარაღებისა და ეროვნული ღონისძიებანი დაძაბულობის შესუსტებისა და განიარაღების ინტერესებისათვის, აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი **„ნაციონალ-ცაიტუნგი“.** სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა კონკრეტული წინადადებები, რომლებიც საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებით შეშფოთებულ ხალხებს უნერგავენ იმედსა და რწმენას, ადასტურებენ კეთილგონიერებასა და პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას.

ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუში ჩამოყალიბებული იდეები და წინადადებები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი გულწრფელად ესწრაფვის მშვიდობის უზრუნველყოფას განიარაღების დარგში გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების მეშვეობით, გასაცადა დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან **კ. ბაუნენგმა.** აღნიშნა რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული ხასიათი, მან ამავე დროს ექვი გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რამდენად გულწრფელად სურს ამერიკის ადმინისტრაციას კონკრეტული შედეგების მიღწევა სსრ კავშირთან მომავალი მოლაპარაკების დროს. უნდა გვეშინოდეს იმისა, თქვა მან, რომ ვაშინგტონი უწინარეს ყოვლისა თავისი შეიარაღების პროგრამის განხორციელებას აპირებს.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირი აღავსება მტკიცე გადაწყვეტილებით კონკრეტული წვლილი შეიტანოს რაკეტულ-ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებაში, აღნიშნა ბუნდესტაგის მეორე დეპუტატმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან **კ. ტოუნენგმა.**

სსრ კავშირის თანამიმდევრული და დაუცხრომელი მეცადინეობა მშვიდობისათვის დიდ ზემოქმედებას ახდენს მთელი ევროპის საზოგადოებრიობაზე, სადაც ფართოვდება მასობრივი მოძრაობა ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ, განაცხადა თვალსაჩინო ამერიკელმა ისტორიკოსმა **ჰ. აპტეკერმა.** შეერთებულ შტატებში ეს მოძრაობა ჯერ არ გამხდარა ასეთი მასშტაბისა, მაგრამ უეჭველია, რომ ამერიკის საზოგადოებრიობა ესწრაფვის მშვიდობას და განწყობილია რეიგანის მთავრობის ფანტასტიკური სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ. მატულობს ოპოზიცია ვაშინგტონის კურსისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ გონიერებისა და ჰუმანიზმის ხმაა, წერს კვიპროსის გაზეთი **„პარავგი“**, ეს ინტერვიუ უსათუოდ პოვებს მხურვალე გამოხმაურებას პლანეტის ყველა კუთხეში, ვიანაიდან ბირთვული ომის იმ დოქტრინის საწინააღმდეგოდ, რომელსაც ომის მოსურნე იმპერიალისტური წრეები ქადაგებენ, საბჭოთა კავშირი სახავს მშვიდობის, კაცობრიობის პროგრესისა და ბედნიერების გზას.

ინდოეთის უდიდესი გაზეთების რედაქციები კვლავ იღებენ ათასობით წერილს, რომელთა ავტორები მხარს უჭერენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ჟურნალ „შპიგელის“ კითხვებზე გაცემულ პასუხებში ჩამოყალიბებულ სამშვიდობო ინიციატივებს და მკაცრად გმობენ რეიგანის მთავრობის ავანტიურისტულ კურსს. გამოაქვეს რა დასკვნა ამ წერილებიდან, ინდოეთის გაზეთი **„პეტრიოტი“** ხაზს უსვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წინადადებები საფუძვლად უნდა დაედოს მთელი კაცობრიობის ბრძოლას მშვიდობისათვის, გამალებული შეიარაღების აღგზნებისათვის.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘ ᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲙᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲓᲘᲦᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

რ. რეიგანის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მოაწყო პრეს-კონფერენცია მისი ადმინისტრაციის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე.

რეიგანს ბევრი კითხვა მისცეს მისი იმ განცხადების გამო, რომ შესაძლებელია „შეზღუდული“ ბირთვული ომის წარმოება, უწინარეს ყოვლისა ევროპაში. როგორც ცნობილია, ამ მგონითქვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში და მეტადრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ბირთვული მძვინვარ როლს უმზადებს თავის უგუნურ, ავანტიურისტულ გეგმებში.

თეთრი სახლის მეთაური თავდაპირველად შეეცადა თავი აერიდებინა პირდაპირ პასუხისათვის და თქვა, ჩემი განცხადება სრულიად სხვა კონტექსტით იყო წარმოდგენილი. მხოლოდ მაშინ, როცა ერთ-ერთმა კორესპონდენტმა დაიმოწმა პრეზიდენტის ნათქვამის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რეიგანს აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ დაედასტურებინა საკუთარი გამონათქვამი. „შემიძლია წარმოვიდგინო ისეთი სიტუაცია, როცა შეიძლება თავი შევაკავებინოთ ორივე მხარეს სტრატეგიული იარაღის გამოყენებისაგან, თუნდაც გამოყენებულ იქნეს ტაქტიკური იარაღი და მოხდეს დარტყმების გაცვლა ორი მხარის ჯარებს შორის“, — თქვა მან.

იმის შესახებ, თუ ვინ არის მზად პირველმა წამოიწყოს ბირთვული დარტყმების „გაცვლა“, ამ დღეებში ილაპარაკა სახელმწიფო მდივანმა ა. ჰეიგმა. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „თვალისწინებს „ამაფრთხილებელი ბირთვული აფეთქების“ შესაძლებლობას. ამასთან დაკავშირებით რეიგანს პირდაპირ ჰკითხეს, მხარს უჭერს თუ არა იგი თავისი სახელმწიფოს მდივნის ამ განცხადებას. იმისათვის, რომ როგორმე გამოსულიყო შექმნილი მდგომარეობიდან, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „გაურკვეველია, ითვალისწინებს თუ არა ამას ახლა ნატოს სტრატეგიაო“, და დასძინა, „ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთო“.

გენერალურ ასამბლეაში

მიიღეს ახალი წევრი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეემატა ახალი 157-ე წევრი. გენერალურმა ასამბლეამ ალენარულ სხდომაზე ერთხმად მიიღო ორგანიზაციის რიგებში ანტიგუა და ბარბუდუ — მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ ყოფილმა ბრიტანეთის კოლონიამ, რომელიც ცენტრალურ ამერიკაში მდებარეობს, დამოუკიდებლობა მხოლოდ 1 ნოემბერს მოიპოვა.

ანტიგუა და ბარბუდუ მესამე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომლებიც ერთა გაერთიანების წევრად გენერალური ასამბლეის ალნადელ, 36-ე სესიაზე მიიღეს. რამდენიმე კვირის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები გახდნენ ვანუატუ და ბელიზი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ—ᲒᲓᲠ

დიდი მნიშვნელობის მოვლენა

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ბონი. „ჩვენ ძალზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ბონში, ამასთან უწინარეს ყოვლისა ვითვალისწინებთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის უმაღლესი დონის პოლიტიკური მოლაპარაკების მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხებს აგრეთვე მიექცევა შესაბამისი ყურადღება“, — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეურნეობის მინისტრმა ო. ლამბსდორფმა ბონში აკრედიტებულ ელჩთა კორპუსის გამართულ შეხვედრაზე.

მან აღნიშნა ორივე ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერო ტექნიკური ურთიერთობის ხანგრძლივი და პერსპექტიული ხასიათი. გარდა იმისა, რომ ეს თანამშრომლობა ხელსაყრელია, როგორც საბჭოთა კავშირისათვის, ისე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის, მას მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისთვისაც, თქვა ო. ლამბსდორფმა.

უპასუხა რა კითხვაზე ვაშინგტონის ცდების შესახებ ჩამალოს ან თუნდაც შეაფერხოს სსრ კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან, რაც უწინარეს ყოვლისა გამოიხატება იმით, რომ თავს ესხმიან დაგეგმილ გაზგაგებას, რომელიც ითვლისწინებს საბჭოთა კავშირის ბუნებრივი გაზის მიწოდებას მილების მიწოდების სანაცვლოდ, ო. ლამბსდორფმა თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არ აპირებს შეცვალოს თავისი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე. „ამასთან, ამერიკელებს, რომლებიც აკრიტიკებენ ჩვენს საგაჭრო პოლიტიკას, არაფერი შემოუთავაზებიათ საბჭოთა ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ“, — დასძინა მან.

მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკურმა კავშირურთიერთობამ ხელი შეუწყო ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობის ნორმალიზაციას, მან არსებითი წვლილი შეიტანა დაძაბულობის შენელებაში. ეს ვთქვით საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შერეული კომისიის ამასწინანდელ მორიგ სესიაზე, თქვა ლ. ლამბსდორფმა.

● ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

გამოშტანეს განაჩენი

ანკარა. ქალაქ ადანაში სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს უკანონო ექსტრემისტული ორგანიზაციის „დევ-იოლის“ 7 წევრს. მათ ბრალად ედებათ 13 თურქი მოქალაქის მკვლელობა, მათ შორის 6 მასწავლებლისა, აგრეთვე სხვა ტერორისტული აქტების ჩადენა. დანაჩენ ბრალეულ პირთ ამ დიდ სასამართლო პროცესზე, სადაც 98 კაცის საქმე ირჩეოდა, სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯეს.

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

დემონსტრაცია საელჩოს წინ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „ხელები შორს ანგოლისაგან!“, „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა წაეთრიოს ანგოლიდან!“, „ამერიკის შეერთებული შტატები მკვლელთა ხელშემწყობია!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა დემონსტრაცია ლონდონში ამერიკის საელჩოს წინ (სურათზე).

დემონსტრაციის მონაწილეებმა მოითხოვეს ანგოლის ტერიტორიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარების გაყვანა, დაგმეს ვაშინგტონის პოზიცია, რომელიც აქეზებს აფრეთორს და ხელს უშვნის მშვიდობას ამ რეგიონში.

ᲡᲐᲙᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘ

ბეტონი ხის შპალების ნაცვლად

ინგლისში რკინიგზის მშენებლობაში ბალასტისა და შპალების ნაცვლად დიწყეს მთლიანი ბეტონის რელსკვეშა საყრდენის გამოყენება. მართალია, ასეთი საყრდენის მშენებლობა ჩვეულებრივზე ძვირი ჯდება, მაგრამ თვით მახალა ბევრად იაფია, მოსახერხებელია საექსპლოატაციოდ და უზრუნველყოფს რელსების უფრო სიმეტრიულ დამაგრებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვირაბებში რკინიგზის გაყვანისას.

ტარა... ჩალისაგან

ინგლისის ერთ-ერთმა ფირმამ გადაწყვიტა ბოსტნეულისა და ხილის გადასაზიდი უუთები დამზადოს ჩალისაგან. წვრილად დაკეპილ ჩალას ურევენ ფისში და მიღებულ ნარევს უუთების დასამზადებელ ფიცრებად წნეხავენ, რომლებიც მეტად მტკიცეა, წყალგამძლეა და ხის ფიცარზე სამჯერ იაფია.

კომპიუტერიანი ავტომანქანა

**დას

ЕЛЕРДА „САГЕИМО МЕСА“...

ЦНОБИЛИ იტალიელი კომპოზიტორის როსინის ერთ-ერთი შედევრი „პატარა საზეიმო მესა“ პირველად თბილისში 1971 წელს აღესრულდა. ნაწარმოების ასრულებდა ქალაქ სასარის (იტალია) კამერული გუნდი ნინო ბონავოლონტას დირიჟორობით. მას შემდეგ ათი წელი გავიდა და აი, ამ დღეებში ერთი საღამო კვლავ როსინის „პატარა საზეიმო მესას“ მიეძღვნა. ამჯერად კონსერვატორიის დიდ დარბაზში მადლიერი მსმენელები ტამს უკრავდნენ მოსკოვის კამერულ გუნდს ვ. მინინის დირიჟორობით და სოლისტების კვარტეტს ნ. გერასიმოვას, გ. გრიგორიანის, ე. ობრაზცოვასა და ე. ნესტერენკოს შემადგენლობით.

როსინის ეს ნაწარმოები კომპოზიტორის შემოქმედების ბოლო წლების ნაყოფია. ეს არის გრანდიოზული მესა, რომელსაც კომპოზიტორმა ხუმრობით „პატარა საზეიმო მესა“ უწოდა. ცნობილი ოპერებიდან „სევილიელი დალაქისა“ და „ვილჰელმ ტელის“ ავტორი ამ ნაწარმოებებიც ხიბლავს მსმენელს ლამაზი, გულშიჩაწვდომი ლირიკული მელოდიებით. აქ ყოველივე აღსავსეა სეგდიანი, ღრმა ადამიანური გრძნობებით, მომენტებში დიდ დრამატულ ძალას რომ აღწევს. მთელი ნაწარმოები უდიდესი ჰუმანიზმით, ადამიანის ტანჯვისადმი მხურვალე თანაგრძნობით არის გამსჭვალული.

როგორც ყოველთვის, ბრწყინვალედ იმღერა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ელენე ობრაზცოვამ (მეცოსოპრანო), დარბაზში იღვრებოდა ულამაზესი ხმა, რომელსაც ახასიათებს სითბო და სიძლიერე, სინაზე და მგზნებარება. მომღერალი იმდენად თავისუფლად და ბუნებრივად ასრულებს მესას სპეციფიკურ პარტიას, რომ სრულიად ვერ გრძნობთ იმ ვოკალურ სირთულეს, რომლითაც მეცო-სოპრანოს პარტია გამოირჩევა. ე. ობრაზცოვამ დიდი ხანია დაიმსახურა თბილისელი მსმენელების სიმპათია.

საუკუნეზელმა მოუსმინა ცნობილ ბასს ე. ნესტერენკოს. მას აქვს უზადო ინტონაცია, წმინდა დიქცია, ფართო დიაპაზონის საოცრად ჯანსაღი ხმა. როგორც შემსრულებელი, იგი გამოირჩევა მგზნებარე ტემპერამენტით, რომელიც ვლინდება ხმის ყოფიერებაში.

საკმაოდ ძნელად შესასრულებელი სოპრანოს პარტია დაბეგვილი, ძლიერი ხმით დაჯილდოვებული ნ. გერასიმოვამ.

იმ საღამოს დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა გ. გრიგორიანმა (ტენორი). ლამაზი ტემბრის ხმამ და ბრწყინვალე ვოკალურმა ტექნიკამ საშუალება მისცა მას უნაკლოდ შეესრულებინა ტენორის პარტია.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სოპრანოსა და მეცო-სოპრანოს დუეტმა, მეცო-სოპრანოს, ტენორისა და ბანის ტერცეტმა...

ეჯა ჩაჩავას ტალანტი და ოსტატობა აღიარებულია. ბმოგანების ოვიციური სირბილე, მუსიკალური ფრაზის გამომსახველობა, — ეი თვისებები, რომლებიც მის საფორტეპიანო სოლოს ახასიათებს.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ქორმაისტერ ლ. კრესტნიკოვის მიერ შომზადებულმა გუნდმა, კონცერტში მონაწილეობდა ნ. მალინა (ორგანი).

ვ. მინინის გამოსვლა ყოველთვის სასიამოვნოა მუსიკის მოყვარულთათვის. მან მაღალი პროფესიული ოსტატობით წარმართა მთელი კონცერტი.

„საზეიმო მესამ“ გაამართლა თავისი სახელწოდება. მისი შესრულება მუსიკის მოყვარულთა ჯეშმარიტ ზეიმად გადაიქცა.

ნ. მამიაშვილი.
**მუსიკო